ვანის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ გამოცხადებულ კონკურსში (№1088 05.02.2014წ.)
პრეტენდეტების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის რეგისტრაცია

| № | ორგანიზაციის დასახელება | წარმოდგენილი დოკუმენტაცია | დოკუმენტაციის მიღების თარიღი | ჩამბარებლის ხელმოწერა | მიმღების ხელმოწერა |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | შპს "არქსტუდიო" | 1. განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ (დალუქვის გარეშე)<br>2. კონკურსში მონაწილეობის საფასურის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი (დალუქვის გარეშე)<br>3. დალუქული პაკეტი 1 ცალი | 13.02.2014 წელი 12:09 სთ. | [signature] | [signature] |
| | | | | | |

## საგადახდო დავალება N20

"12" თებერვალი 2014 წელი

რეფერენსი
2496902225

გადამხდელის დასახელება: შპს არქსტუდიო

ანგარიში (დებეტი): GE04BG0000000340775900 (ძველი ანგ.)

ბანკის კოდი: BAGAGE22

გადამხდელის ბანკი:
სს "საქართველოს ბანკი"

გადასახადის გადამხდელის დასახელება: შპს არქსტუდიო

საიდენტ- კოდი: 436031991

მიმღების დასახელება: სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო

ანგარიში/სახაზინო კოდი (კრედიტი): GE52BR0000010591718543

ბანკის კოდი: REPLGE22

მიმღების ბანკი:
სს "ბანკი რესპუბლიკა"

გადახდის დანიშნულება: საკონ.ვან #1088 ვანის მუნიც.ს.კ 229653256;საბ ბაღ.კაპიტ რემონტი(#2 საბ ბაღი,ზედა ვანის,შუამთის,სალხინოს,მთისძირის,ამაღლების,ზეინდრის საბ.ბაღების)-სამ.საპრ.საზ.დოკ.შედ

დამატებითი ინფორმაცია:

ხელმოწერები:

ხელმძღვანელი [signature] ბ.ა.

მთ. ბუღალტერი

თანხა: 50-00

თანხა სიტყვებით: ორმოცდაათი ლარი 00 თეთრი

ბანკის აღნიშვნები

ბანკში შემოსვლის თარიღი: 12.02.14

გატარებულია ბანკის მიერ: 12.02.14

ხელმოწერა

შტამპის ადგილი

შპს "არქსტუდიო"

ქ.მცხეთა, დ.აღმაშენებლის ქ.№24-ბ
ტელ 599-50-00-43;
zazanazgaidze1@hotmail.com

LTD "ARCSTUDIO"

D.AgmaSenebeli av. #24-b, Mtskheta
tel 599-50-00-43;
zazanazgaidze1@hotmail.com

02/02 12 02 2014

ვანის მუნიციპალიტეტის საკონკურსო კომისიას

გაცნობებთ, რომ სურვილი მაქვს კონკურსანტის სტატუსით მონაწილეობა მივიღო ვანის მუნიციპალიტეტის მიერ გამოცხადებულ კონკურსში „საბავშვო ბაღების კაპიტალური რემონტის (№2 საბავშვო ბაღის, ზედავანის საბავშვო ბაღი, შუამთის საბავშვო ბაღი, სალხინოს საბავშვო ბაღი, მთისძირის საბავშვო ბაღი, ამაღლების საბავშვო ბაღი, ზეინდრის საბავშვო ბაღი)"საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა; საკონკურსო განაცხადი №1088. განცხადებას თან ერთვის კონკურსში მონაწილეობის საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი (საგადახდო დავალება), აგრეთვე დალუქული კონვერტით ორ-ორ ეგზემპლიარად თან ერთვის საკონკურსო წინადადებები, რომელიც მოიცავს:

•;საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის ღირებულება;
•;ინფორმაცია კონკურსანტის გამოცდილების შესახებ;
•ინფორმაცია მომსახურების გაწევის ვადის შესახებ;
• საკვალიფიკაციო მონაცემები;
• რეკვიზიტები;
• ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან;
• ცნობა შემოსავლების სამსახურიდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არ არსებობის შესახებ;

პატივისცემით შპს "არქსტუდიო"-ს დირექტორი: ზ.ნაზღაიძე

შპს "არქსტუდიო"
ქ.მცხეთა, დ.აღმაშენებლის ქ.№24-ბ
ტელ 599-50-00-43;
zazanazgaidze1@hotmail.com

LTD "ARCSTUDIO"
D.AgmaSenebeli av. #24-b, Mtskheta
tel 599-50-00-43;
zazanazgaidze1@hotmail.com

საკონკურსო განაცხადი №1088-სთვის საკონკურსო წინადადება

- ჩვენი საკონკურსო წინადადების გამარჯვების შემთხვევაში ხელშეკრულების გაფორმებისთანავე დავიწყებთ მომსახურების გაწევას და წარმოგიდგენთ ექსპერტიზა გავლილ დასრულებულ პროექტს 25 (ოცდახუთი) კალენდარული დღის განმავლობაში;
- ჩვენს მიერ ჩასატარებელი მომსახურების საკონკურსო ფასი არის 10 000 (ათი ათასი) ლარი დღგ-ს ჩათვლით (ორგანიზაცია წარმოადგენს დღგ-ს გადამხდელს);
- ინფორმაცია ანალოგიური საქმიანობის შესახებისთვის გაცნობებთ, რომ ორგანიზაცია შემოსავლების ბრუნვის მიხედვით წარმოადგენს დღგ-ს გადამხდელს, წარმოგიდგენთ რამდენიმე ხელშეკრულების ასლებს (როგორც სახელმწიფო დაწესებულებებთან, ასევე კერძო კომპანიასთან), ძირითადათ შესრულებული პროექტები (არქიტექტურა, შიდა და გარე დიზაინი ) შეგიძლიათ იხილოთ ორგანიზაციის **facebook** გვერდი **LCH design** (ფოტოები, პროექტები, ალბომები);
- საკონკურსო სამუშაოებს შეასრულებენ გამოცდილი სპეციალისტები, რომლებსაც გააჩნიათ ანალოგიურ საქმიანობებზე მუშაობის სერიოზული გამოცდილება, მათ შორის:
  –არქიტექტორი ლევან ჩლაიძე, 57 წლის, თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია, ნამუშევარი "თბილქალაქპროექტში",
  –ზურაბ ჭუმბურიძე, 59 წლის, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი, მთავარი კონსტრუქტორი, აკ. კირიაკ ზავრიევის სეისმომედეგობის კვლევით ინსტიტუტში, ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის სახელმწიფო ბიუროში,
  –კობა ჩილინდრიშვილი, 57 წლის, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი, მშენებელ-ინჟინერი, სამშენებლო ტრესტები და სამმართველოები;
  –ლია მექვაბიშვილი, 50 წლის, ეკონომისტი, ხარჯთაღრიცხვის სპეციალისტი, "საქჰიდროწყალი" კვლევით ინსტიტუტი, შსს სამინისტრო;
  –მინდია ჩლაიძე, 32წლის, თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია, მხატვარ-დიზაინერი, პროგრამისტი;
  –ბადრი ბიბილეიშვილი, 34წლის, არქიტექტორი, პროგრამისტი;
  –შოთა გოგიბერიძე, 30 წლის; ტოპოგრაფი-გეოდეზისტი, პროგრამისტი;
  –ზაზა ნაზღაიძე, 52 წლის, თბილისის ივ.ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ინჟინერ-გეოლოგი; შპს-ს დირექტორი;

პატივისცემით შპს "არქსტუდიო"-ს დირექტორი: ზაზა ნაზღაიძე

შპს “არქსტუდიო”

ქმცხეთა, დ.აღმაშენებლის ქ.№24-ბ
ტელ 599-50-00-43; 592-51-28-27
zazanazgaidze1@hotmail.com

**LTD “ARCSTUDIO”**

**D.AgmaSenebeli av. #24-b, Mtskheta**
**tel 599-50-00-43; 592-51-28-27**
**zazanazgaidze1@hotmail.com**

# რეკვიზიტები

შპს “არქსტუდიო”;

იურ. მისამართი – ქმცხეთა, აღმაშენებლის ქ.№24 ბ;

ფაქტ. მისამართი – ქ.თბილისი, ალმასიანის ქ.№23;

საინდ კოდი 436 03 19 91;

ს/ს “საქართველოს ბანკი”; ცენტრალური ფილიალი **BAGAGE 22;**

ა /ნ **GE 04 BG 00 00 000 34 077 5900**

შპს “არქსტუდიო”-ს
დირექტორი: ზაზა ნაზღაიძე

ტელ : 599 50-00-43

ელ.ფ **zazanazgaidze1@ hotmail.com**

**შემოსავლების სამსახური**

საიდენტიფიკაციო კოდი/პირადი ნომერი
436031991

გადამხდელის დასახელება
**შპს არქსტუდიო**

ხელმძღვანელი
**ზაზა ნაზღაიძე**

გადამხდელის მისამართი
**მცხეთის რაიონი / დ.აღმაშენებლის ქ #24-ბ**

ელ-ფოსტა
zazanazgaidze1@hotmail.com

ტელეფონი
599500043

# ც ნ ო ბ ა

ეძლევა "შპს არქსტუდიო"-ს (ს/კ 436031991) მასზედ რომ შემოსავლების სამსახურის ერთიანი ელექტრონული ბაზის მონაცემების მიხედვით 11/02/2014 წლის მდგომარეობით ერიცხება სალდირებული ზედმეტობა -655,15 ლარი.

| N | გადასახადის დასახელება | ძირითადი | სანქცია | საურავი | ზედმეტობა |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | დღგ | 0 | 0 | 0 | 622 |
| 2 | მოგების გადასახადი | 0 | 0 | 0 | 0 |
| 3 | საშემოსავლო გადასახადი | 0 | 0 | 0 | 45,24 |
| 4 | ქონების გადასახადი | 12,09 | 0 | 0 | 0 |
| 5 | სხვა ჯარიმები | 0 | 0 | 0 | 0 |
| | ხულ: | 12.09 | 0 | 0 | 667.24 |

განმცხადებლის ხელმოწერა:

თარიღი: 11/02/2014

ID: 1958014

2956196

**ანგარიშის რეკვიზიტები**

სსიპ "შემოსავლების სამსახურის"
მომსახურე ბანკი სს "კორ სტანდარტ ბანკი",
ბანკის კოდი | KSBGGE22
სსიპ "შემოსავლების სამსახურის" ანგარიში GE14 KS00 0000 0000 0777 77

თბილისი 0114, გორგასლის ქ. 16

ელ. ფოსტა: info@rs.ge, ვებ გვერდი: www.rs.ge

მცხეთის მუნიციპალიტეტი

436031991
(საიდენტიფიკაციო ნომერი) (გადამხდელის პირადი ნომერი)

შპს არქსტუდიო
(ორგანიზაციის დასახელება)

# შედარების აქტი

01-01-2014 -დან 12-02-2014 -მდე

| N | გადასახადის დასახელება | სალდო საანგარიშო პერიოდის დასაწყისისათვის ( 31-12-2013 მდგომ.) | | | დარიცხულია ან შემცირ. გადასახდელები საანგარიშო | | დამატებით დარიცხულია ან შემც.საანგარიშო პერი-ოდში ( | | გადახდილია ბიუჯეტში | სალდო საანგარიშო პერიოდის დასასრულისათვის ( 11-02-2014 მდგომ.) | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | ნარჩენი | საურავი | ზედმეტობა | ძირითადი | საურავი | ძირითადი | საურავი | სულ | ნარჩენი | საურავი | ზედმეტობა |
| 1 | დღგ | 0.00 | 0.00 | 622.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 622.00 |
| 2 | მოგების გადასახადი | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 |
| 3 | საშემოსავლო გადასახადი | 0.00 | 0.00 | 45.24 | 2835.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 2835.00 | 0.00 | 0.00 | 45.24 |
| 4 | ქონების გადასახადი | 12.09 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 12.09 | 0.00 | 0.00 |
| 5 | სხვა ჯარიმები | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 |
| | სულ : | **12.09** | **0.00** | **667.24** | **2835.00** | **0.00** | **0.00** | **0.00** | **2835.00** | **12.09** | **0.00** | **667.24** |

შენიშვნა:

12-02-2014 12:43:09
შედარების თარიღი

საგადასახადო ინსპექტორის ხელმოწერა

გადამხდელის ხელმოწერა

1-დან 1 გვერდი

# ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან

განაცხადის ნომერი: 711174
განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: B14011743
ამონაწერის მომზადების თარიღი: 06/02/2014 15:58:59

**სუბიექტი**

| | |
|---|---|
| საფირმო სახელწოდება: | შპს არქსტუდიო |
| იურიდიული მისამართი: | საქართველო, მცხეთა, დ. აღმაშენებლის ქ., №24-ბ |
| საიდენტიფიკაციო კოდი: | 436031991 |
| სამართლებრივი ფორმა: | შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება |
| სახელმწიფო რეგისტრაციის თარიღი: | 17/06/2011 |
| მარეგისტრირებელი ორგანო: | საჯარო რეესტრი |
| საგადასახადო ინსპექცია: | მცხეთის მუნიციპალიტეტი |

**ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირები**

- 01009006118, ზაზა ნაზღაიძე,
  დირექტორი, ,

**პარტნიორები**

| მფლობელი | წილი | წილის მმართველი |
|---|---|---|
| 01009006118, ზაზა ნაზღაიძე, | 100.0000000% | |

**ვალდებულება**

**გირავნობა**

**ყადაღა/აკრძალვა:**

**რეგისტრირებული არ არის**

**საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის უფლება:**

**რეგისტრირებული არ არის**

**მოძრავ ნივთებსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე გირავნობა/ლიზინგის უფლება:**

**რეგისტრირებული არ არის**

**მოვალეთა რეესტრი:**

**რეგისტრირებული არ არის**

---

ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში, შესაძლებელია სარეგისტრაციო სამსახურში მოსვლის გარეშე, ელექტრონულად წარმოადგინოთ განცხადება: http://public.reestri.gov.ge ან დაგვიკავშირდეთ: 2 405 405; 595 33 71 81; შესწორებული ამონაწერის მიღება შეგიძლიათ ვებ გვერდზე, ელექტრონულად, ასევე საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურსა და ლიბერთი ბანკის ნებისმიერ ფილიალში.

# ხელშეკრულება
# საპროექტო დოკუმენტაციის დამუშავებაზე

ქ.თბილისი 14 ივლისი 2011წ.

ჩვენ, ერთის მხრივ შპს "დონა გრუპ" მისი დირექტორის შალომ შაის მინდობილი პირის გიორგი ბეჟანიშვილის სახით შემდგომში "დამკვეთად" წოდებული, და მეორეს მხრივ შპს "არქსტუდიო" შემდგომში "შემსრულებლად" წოდებული ,მისი დირექტორის ზაზა ნაზღაიძის სახით მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე ვდებთ ხელშეკრულებას.

## ხელშეკრულების საგანი

1.1 "დამკვეთი" ავალებს, ხოლო "შემსრულებელი" ვალდებულებას იღებს შემდეგი სამუშაოების შესრულებაზე: ქ.თბილისში, ჯიქიას ქუჩა №5-ში მრავალფუნქციური კომპლექსის პროექტირებისათვის საჭირო წინასაპროექტო დოკუმენტაციის მომზადებაზე, კერძოდ:

1-ა) არქიტექტურულ-ქალაქგეგმარებითოი პროექტის დამუშავება "დამკვეთის" მოთხოვნების შესაბამისად

1-ბ) ესკიზური პროექტის რამდენიმე ვარიანტის დამუშაევება :დამკვეთის" მოთხოვნების დაკმაყოფილებამდე და მის მიხედვით საპროექტო დავალების შედგენა;

1-გ) მიწის ნაკვეთის ტოპოგრაფიული გეგმის (მ:500)შ სრულება;

1-დ) ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის ჩატარება;

1-ე) "დამკვვეთთან" შეთანხმებული ესკიზური პროექტის მიხედვით საპროექტო დავალების შედგენა და სტადია "განაშენიანების რეგულირების გეგმის" დამუშავება, წარდგენა ქთბილისის მერიაში;

1.2 "დამკვეთი" ვალდებულებას იღებს გადაუხადოს "შემსრულებელს" შესრულებული წინასაპროექტო დოკუმენტების ღირებულება, ხელშეკრულების პირობების თანახმად;

## 2. სამუშაოების საერთო ღირებულება და გადახდის პირობები

2.1 სამუშაოების საერთო ღირებულება შეადგენს 46135.23 (ორმოცდაექვსი ათას ასოცდათხუთმეტი) აშშ დოლარს შესაბამისი კურსით ეროვნულ ვალუტაში გადახდის მომენტისათვის დღგ-ს ჩათვლით.

2.2 "დამკვეთი" ვალდებულია სამუშაოების დაწყების წინ ავანსის სახით გადაუხადოს შემსრულებელს" ხელშეკრულების პირობით გათვალისწინებული სამუშაოების ღირებულების 30%, ხოლო მისი დასრულების შემდეგ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 15 სამუშაო დღის განმავლობაში ღირებულების დანარჩენი 70%;

2.3 "დამკვეთი" ვალდებულია "შემსრულებლისგან" პროექტის ან წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა მასალების მიღებიდან 15 სამუშაო დღის განმაელობაში ჩაატაროს შედეგების ინსპექცია და ხელი მოაწეროს სამუშაოების მიღება-ჩაბარების აქტს ან წერილობით უარი თქვას მიღებაზე დასაბუთებული არგუმენტებით;

## 3. სტადიების თანმიმდევრობა და შესაბამისი საპროექტო შედგენის ვადები

3.1 სტადია "ესკიზური პროექტი"-ს საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის ვადა განისაზღვროს "შემსრულებლის" ანგარიშზე შესაბამისი ავანსის ჩარიცხვიდან 1.5 თვით.

3.2 სამუშაო შესრულებულად ითვლება საპროექტო დოკუმენტაციის მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

4. მხარეთა უფლება – მოვალეობანი

4.1. „დამკვეთი" უფლებამოსილია საპროექტო დოკუმენტაციის შექმნის პროცესში შეიტანოს შენიშვნები. „შემსრულებელი" ვალდებულია გაითვალისწინოს „დამკვეთის" მიერ შეტანილი საფუძვლიანი შენიშვნები (შესწორებები) და მიიღოს შესაბამისი ზომები.
4.2. „შემსრულებელი" ვალდებულია:
–შეასრულოს ხელშეკრულების პირობებით გათვალისწინებული სამუშაოები სამშენებლო ნორმებისა და წესების გათვალისწინებით.
–საპროექტო დოკუმენტაციაში დროულად შეიტანოს, „დამკვეთის" საფუძვლიანი შესწორებები.
–„დამკვეთთან" შეთანხმების გარეშე არ გადასცეს საპროექტო დოკუმენტაცია მესამე მხარეს.
4.3. იმ შემთხვევაში, თუ სამუშაოს პროცესში გაჩნდება დამატებითი სამუშაოების ჩატარების აუცილებლობა , „შემსრულებელი" ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს „დამკვეთს" ამის შესახებ.
4.4. „შემსრულებელი" უფლება მოსილია შეაჩეროს საპროექტო სამუშაოები, თუ „დამკვეთის" მიერ დარღვეული იქნება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები.

5. მხარეთა პასუხისმგებლობა.

5.1. „შემსრულებელი" და „დამკვეთი" პასუხისმგებლები არიან, ხელშეკრულების პირობებით აღებული ვალდებულებების შესრულებაზე, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის თანახმად.
5.2. „დამკვეთის" მხრიდან საპროექტო დოკუმენტაციის შესაქმნელად ყველა საჭირო ინფორმაციის და დოკუმენტაციის გადაცემის დაგვიანების შემთხვევაში, „შემსრულებელი" უფლებამოსილია იგივე პერიოდით გადასწიოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულების ვადა.
5.3. იმ შემთხვევაში, თუ შეწყდება (გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო) ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოები, „დამკვეთი" ვალდებულია გადაუხადოს „შემსრულებელს" ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს ღირებულება.
5.4. იმ შემთხვევაში, თუ ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს ღირებულება აღმოჩნდება ნაკლები „დამკვეთის" მიერ უკვე გადახდილ თანხაზე, „შემსრულებელი" ვალდებულია დაუბრუნოს „დამკვეთს" განსხვავება ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს ღირებულებისა და გადახდილ თანხას შორის.

6. მხარეთა უთანხმოება

6.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, მხარეთა შორის წარმოშობილი ყველა უთანხმოება და საკამათო საკითხები უნდა გადაწყდეს მხარეთა შორის მოლაპარაკების გზით, წინააღმდეგ შემთხვევაში მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ დამოუკიდებელ არბიტრაჟს ან სასამართლოს და მათ შორის წარმოშობილი დავა გადაწყვეტილი იქნება მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით.

7. ფორს–მაჟორი

7.1. მხარეები არ აგებენ პასუხს, თუ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების არ შესრულება ან არასათანადო შესრულება გამოწვეულია გაუთვალისწინებელი პირობებით (ფორს–მაჟორი): საომარი მოქმედებებით საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებით, გამანადგურებელი ძალის–სტიქიური უბედურებით და სხვა.

7.2. ფორს–მაჟორული მდგომარეობა იწვევს მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გაგრძელებას იმ პერიოდით, სანამ მოქმედებს ფორს–მაჟორული მდგომარეობა, თუ მხარეებს შორის არ არის გათვალისწინებული სხვა.

7.3. ფორს–მაჟორული მდგომარეობის დადგენის გამო, რომელიმე მხარის პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლება არ იწვევს ფორს–მაჟორული მდგომარეობის დადგენამდე ვალდებულებების შეუსრულებლობაზე ან არასათანადო შესრულებაზე პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლებას.

მხარეთა რეკვიზიტები

| დამკვეთი: | შემსრულებელი: |
| --- | --- |
| შპს "დონა გრუპ" | შპს "არქსტუდიო" |
| დირექტორის მინდობილი პირი | დირექტორი |
| /გიორგი ზეჯანიშვილი/ | /ზაზა ნაზღაიძე/ |
| მის: გორგასლის ქ. №40 | ს/კ 463031991 |
| ს/კ 206345454 | ქ. მცხეთა დ. აღმაშენებლის ქ. №24-ბ |
| ს.ს. "თი ბი სი ბანკი" | ს.ს. საქართველოს ბანკი |
| ა/ა №GE12TB1143336050100001 | ა/ა № GE04BG0000000340775900 |

# სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
# ხელშეკრულება №140

ქ. თბილისი „ ... " ივნისი 2012 წ.

ერთის მხრივ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ს.ს.ი.პ – სურსათის ეროვნული სააგენტო (შემდგომში „შემსყიდველი") წარმოდგენილი მისი უფროსის მოვალეობის შემსრულებლის მიხეილ ჩაჩუას სახით და მეორეს მხრივ, შ.პ.ს. „არქსტუდიო" (შემდგომში „მიმწოდებელი") წარმოდგენილი მისი დირექტორის ზაზა ნაზღაიძის სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონისა და მიმწოდებლის საკონკურსო წინადადების საფუძველზე, #549 კონკურსის ჩატარების შედეგად დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

## 1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომ - „ხელშეკრულება") - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება" - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისთვის.

1.3. „დღე", "კვირა", „თვე" - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. „მომსახურება" – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

1.5. „არაჯეროვანი შესრულება" - ხელშეკრულების მიზნებიდან გამომდინარე მიმწოდებლის მხრიდან შემსყიდველისათვის ისეთი სახის მომსახურების მიწოდება, რომელიც შეესაბამება ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებულ საგანს, თუმცა ბოლომდე არ აკმაყოფილებს აღნიშნული ხელშეკრულების ყველა პირობას.

1.6. „განცხადება" - საკონკურსო განცხადება, რომელიც დაერთვება ხელშეკრულებას როგორც მისი განუყოფელი ნაწილი

1.7. „ტექნიკური დავალება" - საკონკურსო დოკუმენტაციის ტექნიკური დავალება, რომელიც დაერთვება ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

1.8. „ტექნიკური დოკუმენტაცია" - მიმწოდებლის მიერ კონკურსში წარმოდგენილი ტექნიკური დოკუმენტაცია, რომელიც დაერთვება ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

## 2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს არსებული პროექტის გადაკეთების შედეგად შექმნილი ახალი პროექტის შედგენისათვის საჭირო **საპროექტო მომსახურების შესყიდვა.**

2.2. მომსახურების მიწოდების პირობების აღწერა მითითებულია განცხადებასა და ტექნიკურ დავალებაში.

2.3. **cpv 71320000**

## 3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს **5,015 (ხუთი ათას თხუთმეტი) ლარს, დღგ-ს ჩათვლით.**

3.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა შესაბამის გადასახადებს.

4. მომსახურების გაწევის ვადები და ადგილი

4.1. მომსახურება გაწეულ უნდა იქნეს ხელშეკრულების გაფორმებიდან 5 დღეში;

4.2. მომსახურების მიწოდების ადგილია – სურსათის ეროვნული სააგენტო, თბილისი, მარშალ გელოვანის გამზ.№6.

5. მიღება-ჩაბარების წესი

5.1. მხარეებს შორის გაწეულ მომსახურებაზე გაფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი შესაბამისი ღირებულების ასახვით.

5.2. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერი უფლებამოსილი პირები არიან კონტროლის განმახორციელებელი ჯგუფის წევრები.

6. ანგარიშსწორების პირობები

6.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში, შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

6.2. ანგარიშსწორების ფორმა იქნება – უნაღდო.

6.3. ანგარიშსწორება მოხდება 15 დღის განმავლობაში მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა და სათანადო საგადახდო დოკუმენტების შემსყიდველისთვის მიწოდების თარიღიდან (იმის მიხედვით რომელი უფრო გვიან მოხდება).

7. მხარეთა უფლება-მოვალეობები

7.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს შეამოწმოს მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულების პირობების შესრულება;

7.2. შემსყიდველი ვალდებულია გადაიხადოს გაწეული მომსახურების ღირებულება ხელშეკრულების პირობებისა და ვადის გათვალისწინებით;

7.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულების პირობებისა და ვადის გათვალისწინებით;

7.4. მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველს მიაწოდოს დადგენილი ხარისხითა და სტანდარტების მომსახურება;

8. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

8.1. მიმწოდებლის მიერ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებისა და მასში შემავალი დოკუმენტების პირობების შესრულებაზე კონტროლს განახორციელებს შემსყიდველის მხრიდან განსაზღვრული კონტროლის განმახორციელებელი ჯგუფი;

8.2. ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის განმახორციელებელი პირ(ებ)ის ფუნქციაა მისაწოდებელი ან/და მიწოდებული მომსახურების მოცულობის, ხარისხისა და მიწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა;

8.3. ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის განხორციელება შესაძლებელია ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე.

8.4. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის განხორციელებისთვის აუცილებელი პერსონალის და ტექნიკური საშუალებების გამოყოფა, ასევე უზრუნველყოს საჭირო სამუშაო პირობები.

8.5. ყველა გამოვლენილი ნაკლოვანებათა აღმოფხვრასთან და კონტროლის ხელახლა განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9. გარანტია

მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მის მიერ გაწეული მომსახურება იქნება ხარისხიან და წუნის გარეშე, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი მოვალე საკუთარი სახსრებით აღმოფხვრას ყველ ნაკლი.

## 10. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისავის

10.1. მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულების 4.1. პუნქტით გათვალისწინებული ვადების დარღვევის შემთხვევაში, მას დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 0.1% ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე;

10.2. მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულების არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, მას დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 3% ოდენობით ყოველ კონკრეტულ შემთხვევაზე;

10.3. ხელშეკრულების 10.1. და 10.2. პუნქტებით გათავლისნინებულ შემთხვევაში შემსყიდველს არ ევალება ხელშეკრულების 6.3. პუნქტში მითითებული ვადის დაცვა. მიმწოდებლისთვის თანხის გადახდა მოხდება პირგასამტეხლოს გადახდის დამადასტურებელი საბუთის წარმოდგენიდან 30 დღის განმვლობაში;

10.4. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10% ოდენობით;

10.5. თუ ხელშეკრულების 10.1. და 10.2. პუნქტებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოების თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5%, შემსყიდველი უფლება აქვს ცალხრივად შეწყვიტოს აღნიშნული ხელშეკრულება.

10.6. პირგასამტეხლოების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

## 11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1. ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილების/დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

11.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

11.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების არსებული ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

11.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

## 12. ხელშეკრულების შეწყვეტა

12.1. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

12.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

12.3. თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მიმწოდებელი მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას, შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ;

12.4. შემსყიდველის დაფინანსების წყაროს შემცირების ან დაგეგმილი შემოსავლების ნაკლები რაოდენობით მიღების შემთხვევაში (თუკი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფინანსური ვალდებულებების უზრუნველყოფა გათვალისწინებული იყო ამ შემოსავლებიდან), შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება;

12.5. ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს მხარეებს ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.

12.6. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

## 13. დაუძლეველი ძალა

13.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით.

13.2. თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან.

13.3. მხარეთა ვალდებულებები და პასუხისმგებლობა განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

## 14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება მოქმედებს ხელმოწერის მომენტიდან 2012 წლის 20 ივლისამდე. ამასთან მიმწოდებელი კისრულობს ვალდებულებას აღნიშნული პროექტით განსახორციელებელი სამუშაოებისას იტვირთოს საავტორო ზედამხედველობისათვის აუცილებელი მოვალეობები.

## 15. სხვა პირობები

15.1. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

15.2. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და ორი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

15.3. გამარჯვებული კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება და დანართები წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

| შემსყიდველი | მიმწოდებელი |
|---|---|
| ს.ს.ი.პ. – სურსათის ეროვნული სააგენტო | შ.პ.ს. „არქსტუდიო" |
| ს.კ. – 205142200<br>თბილისი, მარშალ გელოვანის №6<br>მომსახურე ბანკი: სს „ლიბერთი ბანკი"<br>ბ.კ. – LBRTGE22<br>ა.ა. – GE35LB0121124471446000 | ს.კ. – 436031991<br>თბილისი, დ. აღმაშენებლის ქუჩა №24-ბ;<br>მომსახურე ბანკი: ს.ს. „საქართველოს ბანკი"<br>BAGAGE22<br>ა.ა. GE04BG0000000340775900 |
| სააგენტოს უფროსის მოვალეობის შემსრულებელი<br>მიხეილ ჩაჩუა ____________ | დირექტორი<br>____________ ზაზა ნაზღაიძე |

# ხელშეკრულება

ქ. მცხეთა 21 ივნისი 2012 წელი

ერთის მხრივ მცხეთის მუნიციპალიტეტი (შემდგომში „შემსყიდველი") წარმოდგენილი საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილს გიორგი ატაშვილის სახით და მეორეს მხრივ, შპს „არქსტუდიო" (შემდგომში „მიმწოდებელი") წარმოდგენილი მისი დირექტორის ზაზა ნაზღაიძის სახით, კონკურსის საშუალებით დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას (შემდგომში –ხელშეკრულება) შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

„ქ. მცხეთის №1 საბავშვო ბაღის სამშენებლო სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა". (CPV71200000)

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 8750 (რვა ათას შვიდასორმოცდაათი) ლარს.

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.

3.2 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს გაწეული მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.

3.3 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტზე შემსყიდველის მიერ ხელმოწერიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში.

4. მიღება-ჩაბარების წესი

4.1 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგებელი.

4.2 მომსახურება ჩაითვლება გაწეულად მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

5. მომსახურების გაწევის ადგილი და ვადა

5.1 მომსახურების მიწოდების ადგილია ქ. მცხეთა, დ. აღმაშენებლის ქ. №73

5.2 მომსახურების გაწევის საბოლოო ვადაა 2012 წლის 2 ივლისი.

6. მხარეთა უფლება- მოვალეობები

6.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

6.2 შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიმწოდებელი მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

6.3 მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

6.4 მიმწოდებელი ვალდებულია გასწიოს მომსახურება სათანადო ხარისხით.

## 7. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

7. 1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას ახორციელებს მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკისა, სტატისტიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახური.

7.2 ინსპექტირება გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების, აგრეთვე გაწეული ან გასაწევი მომსახურების ხარისხის კონტროლს.

## 8. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

8.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გაშვების შემთხვევაში, მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.

8.2 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისგან.

## 9. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

9.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის გარდა საქართველოს სამოქალაქო

კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

9.4 ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლემამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

9.5 მხარე ვალდებულია 9.4 პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.

9.6 ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

## 10. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

10.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

## 11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის 2012 წლის 21 ივნისიდან და მოქმედებს 2012 წლის 2 ივლისის ჩათვლით.

| „მიმწოდებელი" | „შემსყიდველი" |
| --- | --- |
| შპს „არქსტუდიო" | მცხეთის მუნიციპალიტეტი |
| ს/კ 436031991 | ს/კ 236094196 |
| სს „საქართველოს ბანკი"-ს ცენტრალური ფილიალი | ბანკი: „ლიბერთი ბანკი"-ს მცხეთის ფილიალი |
| ბანკის კოდი: BAGAGE22 | კოდი: LBRTGE22 |
| ა/ა GE04BG0000 0003 4077 5900 | ა/ა GE93LB0120130269077000 |
| მის: ქ. მცხეთა, დ. აღმაშენებლის ქ. №24-ბ | მის: ქ. მცხეთა, დ. აღმაშენებლის ქ. №73 |
| დირექტორი | მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე |
| ზ. ნაზღაიძე | გ. ატაშვილი |

ხელშეკრულება
საპროექტო დოკუმენტაციის დამუშავებაზე

ქ.თბილისი 3 მარტი 2012წ.

ჩვენ, ერთის მხრივ შ.პ.ს. "დონა გრუპ" მისი დირექტორის **შალომ შაის** მინდობილი პირის **გიორგი ბეჟანიშვილის** სახით შემდგომში „დამკვეთად" წოდებული, და მეორეს მხრივ **შ.პ.ს „არქსტუდიო"** შემდგომში „შემსრულებლად" წოდებული, მისი დირექტორის **ზაზა ნაზღაიძის** სახით, მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე ვდებთ ხელშეკრულებას.

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 „დამკვეთი" ავალებს, ხოლო „შემსრულებელი" ვალდებულებას იღებს შემდეგი სამუშაოების შესრულებაზე:
ქ. თბილისში ჯიქიას ქუჩა N:5–ში მრავალფუნქციური კომპლექსის არქიტექტურული პროექტის დამუშავება, კერძოდ:

1. (II-ა) წინასწარ განსაზღვრული, "დამკვეთთან" შეთანხმებული, პირველი რიგის მშენებლობის ობიექტების "არქიტექტურული პროექტის" დამუშავება და წარდგენა ქ. თბილისის მერიის სსიპ არქიტექტურის საქალაქო სამსახურთან.

1.2. „დამკვეთი" ვალდებულებას იღებს გადაუხადოს „შემსრულებელს" შესრულებული არქიტექტურული პროექტის დამუშავების ღირებულება, ხელშეკრულების პირობების თანახმად.

2. სამუშაოების საერთო ღირებულება და გადახდის პირობები

2.1. სამუშაოების საერთო ღირებულება შეადგენს **32850 (ოცდათორმეტი ათას რვასორმოცდათი) ა.შ.შ. დოლარს** შესაბამისი კურსით ეროვნულ ვალუტაში გადახდის მომენტისათვის დ.ღ.გ. – ს ჩათვლით.

2.2 „დამკვეთი" ვალდებულია სამუშაოების დაწყების წინ ავანსის სახით გადაუხადოს „შემსრულებელს" ხელშეკრულების პირობით გათვალისწინებული სამუშაოების ღირებულების 30%, ხოლო მისი დასრულების შემდეგ, მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 15 სამუშაო დღის განმავლობაში ღირებულების დანარჩენი 70%

2.3 „დაკვეთი" ვალდებულია შემსრულებლისაგან პროექტის ან წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა მასალების მიღებიდან 15 სამუშაო დღის განმავლობაში ჩაატაროს შედეგების ინსპექცია და ხელი მოაწეროს სამუსაოების მიღება–ჩაბარების აქტს, ან წერილობით უარი თქვას მიღებაზე დასაბუთებული არგუმენტებით.

3. სამუშაოს შესრულების ვადა

3.1 არქიტექტურული პროექტის დამუშავების ვადა განისაზღვროს „შემსრულებლის" ანგარიშზე შესაბამისი ავანსის ჩარიცხვიდან 45 კალენდარულ დღეს.
3.2 სამუშაო შესრულებულად ითვლება საპროექტო დოკუმენტაციის მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

4. მხარეთა უფლება – მოვალეობანი

4.1. „დამკვეთი" უფლებამოსილია არქიტექტურული პროექტის დამუშავების პროცესში შეიტანოს შენიშვნები. „შემსრულებელი" ვალდებულია გაითვალისწინოს „დამკვეთის" მიერ შეტანილი საფუძვლიანი შენიშვნები (შესწორებები) და მიიღოს შესაბამისი ზომები.
4.2. „შემსრულებელი" ვალდებულია:
–შეასრულოს ხელშეკრულების პირობებით გათვალისწინებული სამუშაოები სამშენებლო ნორმებისა და წესების გათვალისწინებით.
–საპროექტო დოკუმენტაციაში დროულად შეიტანოს, „დამკვეთის" საფუძვლიანი შესწორებები.
–„დამკვეთთან" შეთანხმების გარეშე არ გადასცეს საპროექტო დოკუმენტაცია მესამე მხარეს.
4.3. იმ შემთხვევაში, თუ სამუშაოს პროცესში გაჩნდება დამატებითი სამუშაოების ჩატარების აუცილებლობა , „შემსრულებელი" ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს „დამკვეთს" ამის შესახებ.
4.4. „შემსრულებელი" უფლება მოსილია შეაჩეროს საპროექტო სამუშაოები, თუ „დამკვეთის" მიერ დარღვეული იქნება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები.

5. მხარეთა პასუხისმგებლობა

5.1. „შემსრულებელი" და „დამკვეთი" პასუხისმგებლები არიან, ხელშეკრულების პირობებით აღებული ვალდებულებების შესრულებაზე, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის თანახმად.
5.2. „დამკვეთის" მხრიდან საპროექტო დოკუმენტაციის შესაქმნელად ყველა საჭირო ინფორმაციის და დოკუმენტაციის გადაცემის დაგვიანების შემთხვევაში, „შემსრულებელი" უფლებამოსილია იგივე პერიოდით გადასწიოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულების ვადა.
5.3. იმ შემთხვევაში, თუ შეწყდება (გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო) ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოები, „დამკვეთი" ვალდებულია გადაუხადოს „შემსრულებელს" ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს ღირებულება.
5.4. იმ შემთხვევაში, თუ ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს ღირებულება აღმოჩნდება ნაკლები „დამკვეთის" მიერ უკვე გადახდილ თანხაზე, „შემსრულებელი" ვალდებულია დაუბრუნოს „დამკვეთს" განსხვავება ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს ღირებულებისა და გადახდილ თანხას შორის.

6. მხარეთა უთანხმოება

6.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, მხარეთა შორის წარმოშობილი ყველა უთანხმოება და საკამათო საკითხები უნდა გადაწყდეს მხარეთა შორის მოლაპარაკების გზით, წინააღმდეგ შემთხვევაში მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ დამოუკიდებელ არბიტრაჟს ან სასამართლოს და მათ შორის წარმოშობილი დავა გადაწყვეტილი იქნება მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით.

7. ფორს–მაჟორი

7.1. მხარეები არ აგებენ პასუხს, თუ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების არ შესრულება ან არასათანადო შესრულება გამოწვეულია გაუთვალისწინებელი პირობებით (ფორს–მაჟორი): საომარი მოქმედებებით საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებით, გამანადგურებელი ძალის–სტიქიური უბედურებით, და სხვა.
7.2. ფორს–მაჟორული მდგომარეობა იწვევს მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გაგრძელებას იმ პერიოდით, სანამ მოქმედებს ფორს–მაჟორული მდგომარეობა, თუ მხარეებს შორის არ არის გათვალისწინებული სხვა.

7.3. ფორს–მაჟორული მდგომარეობის დადგენის გამო, რომელიმე მხარის პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლება არ იწვევს ფორს–მაჟორული მდგომარეობის დადგენამდე ვალდებულებების შეუსრულებლობაზე ან არასათანადო შესრულებაზე პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლებას.

## მხარეთა რეკვიზიტები

<u>დამკვეთი:</u>

შპს "დონა გრუპ"
დირექტორის მინდობილი პირი

---------------------------------------

/გიორგი ბექანიშვილი/
მის: გორგასლის ქ. №40
ს/კ 206345454
ს.ს. "თი ბი სი ბანკი"
ა/ა №GE12TB1143336050100001

<u>შემსრულებელი:</u>

შპს "არქსტუდიო"
დირექტორი

---------------------------------------

/ზაზა ნაზღაიძე/
ს/კ 463031991
ქ. მცხეთა დ. აღმაშენებლის ქ. №24-ბ
ს.ს. საქართველოს ბანკი
ა/ა № GE04BG0000000340775900